

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გაბიონი“ (212735806) დაფუძნებულია 2007 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მავთულის ნაწარმის (გაბიონების, გაბიონის ლეიბების, მავთულბადეებისა და ეკალმავთულების) წარმოება. აგრეთვე ახორციელებს სხვა საცალო ვაჭრობას სამშენებლო და მავთულის ნაკეთობისას. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ნიკეას მე-7 ჩიხი # 1. კომპანიის დამფუძნებლები: 20%-ის წილის მფლობელი გურამ გურეშიძე, პ/ნ 60002014936, საქართველოს მოქალაქე, მცხოვრები ქ. ქუთაისში ევდომვილის ქ. #36 და 80 % წილის მფლობელი გიორგი გურეშიძე პ/ნ 60002015990 საქართველოს მოქალაქე, მცხოვრები ქ. ქუთაისში ევდომვილის ქ. #36

ბუღალტრული აღრიცხვისათვის საწარმო იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 25 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

კომპანია ადრეულ პერიოდებში ამზადებდა გარკვეულ ფინანსურ ინფორმაციას საკუთარი მოხმარებისათვის, რომელიც განკუთვნილი არ იყო გარე მომხმარებლებისათვის, კომპანიამ 2018 წლიდან დაიწყო ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

4.3 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.4 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.5 პროდუქციის წარმოება.

პროდუქციის წარმოება ხდება თითოეული პროდუქციის საწარმოებლად დირექციის მიერ დამტკიცებული კალკულაციების მიხედვით. მათ დასამზადებლად გამოყენებული ნედლეულის 85 % იმპორტირებულია თურქეთიდან და დანარჩენი 15 % შეძენილია ადგილობრივ ბაზარზე.

4.6 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც

არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.7 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. თითოეულ ჯგუფზე გამოყენებულია შემდეგი პროცენტები:

1. შენობა-ნაგებობებზე და დაუმთავრებელ მშენებლობაზე -5%.
2. მანქანა- დანადგარებზე, ოფისის ავეჯზე, ინვენტარზე და სატრანსპორტო საშუალებებზე-20%.
3. არამატერიალურ აქტივზე-15%.

4.8 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში

თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები (მოგება-ზარალი, საწარმოს ბალანსი, საკუთარ კაპიტალში ცვლილებები და ფულადი სახსრების მოძრაობა) მომზადებულია პირდაპირი მეთოდით.

5. საქმიანობის შედეგები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

დასახელება	2023
საოპერაციო შემოსავალი გაყიდვიდან	4 194 184
მომსახურების გაწევიდან	
სულ ამონაგები	4 194 184

საოპერაციო შემოსავალი მოიცავს შემენილი პროდუქციის, მზა პროდუქციისა და ზოგიერთი სახის ნედლეულის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 4 194 184 ლარს.

დასახელება	2023
საწყისი მარაგები	437 518
მარაგების შესყიდვა	3 322 264
საბოლოო მარაგები	1 132 308

საწყისი მარაგები 437 518 ლარი. ნედლეულისა და მასალის ნაშთი 437 518ლ. შესყიდული სულ 3 375 663 ლ. საბოლოოდ მარაგების ნაშთმა შეადგინა 1 232 308 ლარი. ნედლეულისა და მასალის 1 232 308 ლარი.

დასახელება	2023
სულ ამონაგები	4 194 184
პროდუქციის თვითღირებულება	-2 627 474
საერთო მოგება	1 566 710

პროდუქციის თვითღირებულებაში 2 627 474 ლარი საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 1 566 710 ლარი.

დასახელება	2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	385 076
ცვეთა და ამორტიზაცია	88 787
იჯარის ხარჯი	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	1 065 828
სულ საოპერაციო ხარჯი	1 539 691

მუშების ხელფასმა შეადგინა 385 076 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ 88 787 ლარი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯში 1 065 828 ლარი.

დასახელება	2023
არასაოპერაციო შემოსავალი	30 790
არასაოპერაციო ხარჯი	0
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	30 790

სულ 2023 წლის არასაოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 30 790 ლარი.

დასახელება	2023
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	57 809
მოგების გადასახადი	0
მოგება /ზარალი	57 809
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი	57 809
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	57 809

ამრიგად მთლიანმა სრულმა შემოსავალი/ზარალმა 2023 წელს შეადგინა 57 809 ლარი, რომელიც გადატანილი იქნა გაუნაწილებელ მოგებაში.

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 2 658 769 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 57 809 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე -89 164 ლარით და 2023 წლის ბოლოსათვის შეადგინა 2 627 414 ლარი. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 ლარს.

7. ფინანსური მდგომარეობა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	671145	717485	983126
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	325764	296692	318905
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	9221	761529	750112
მარაგები	1132308	437518	267788
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	1132308	437518	267788
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	553147	528293	337735
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	188007	188007	188007
სულ აქტივები	2879592	2929524	2845673
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	219781	270755	276116
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	32397	0	
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	79902
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	252178	270755	356018
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2627214	2658569	2489455
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2627414	2658769	2489655
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2879592	2929524	2845673
სულ მოკლევადიანი აქტივები	2138438	1463074	1509819
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	252178	270755	356018

ფული და ფულის ექლვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში და სალარო მეურნეობაში . კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 717 485 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 4 262 224 ლარი, გასულია 4 308 564 ლარი და ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 671 145 ლარი.

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 296 692 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 4 291 296 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 4 262 224 ლარი და დარჩა მისაღები 325 764 ლარი.

დასახელება	1	2	3	4	5	6	7	სულ
ნაშთი 31.12.2022	126,953	114,331	54,712	98,474	10,110	123,575	138	528,293
შემოსვლა	15 000			6,780	2,780	113,123		137,683
გასვლა						24,042		24,042
ცვტა			2,736	21,051	2,578	62,422		88,788
ნაშთი	141,953	114,331	51,976	84,203	10,312	150,234	138	553,147

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ცხრილში, სადაც ჯგუფებად არის გაერთიანებული ძირითადი საშუალებები:

1 ჯგუფი - მიწა. 2 ჯგუფი - დაუმთავრებელი მშენებლობა. 3 ჯგუფი - შენობები და ნაგებობები. 4. ჯგუფი - მანქანა-დანადგარები. 5 ჯგუფი- ოფისის არჭურვილობა და ინვენტარი. 6 ჯგუფი - სატრანსპორტო საშუალებები. 7 ჯგუფი-არამატერიალური აქტივი.

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 270 755 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 3 725 422 ლარი, გასტუმრებული იქნა 3 776 396 ლარი, და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 219 781 ლარი.

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 2 658 769 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 57 809 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 89 164 ლარით და 2023 წლის ბოლოსათვის შეადგინა 2 627 414 ლარი.

8. საქმიანობის შედეგები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის და შესადარის პერიოდზე.

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები		3,552,623
საქონლის გაყიდვიდან	4,194,184	3,552,623
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0

სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2,627,474	-2,366,158
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1,566,710	1,186,465
სხვა საოპერაციო შემოსავალი	30,790	77,276
დასაქმებულთა ანაზღაურება	-385,076	-298,896
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-88,787	-106,894
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	-1,100
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1,065,828	-140,739
სულ საოპერაციო ხარჯები	-1,508,901	-470,353
საოპერაციო მოგება	57,809	716,112
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	57,809	716,112
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	57,809	716,112
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	57,809	716,112
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2,658,769	2,489,655
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-89,164	-546,998
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,627,414	2,658,769

9. ფულადი სახსრების მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-41 340
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-41 340
სავალუტო კურსის ეფექტი	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	717,485
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	671,145

შპს „გაბიონის“ დირექტორი:

გიორგი გურეშიძე

30/09/2024 წ.

